ოქმი №4

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეორე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 12 აპრილი, 14 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
კომისიის სამუშაო ოთახი, N401 (საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ბ. ბრეგაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, ი.შენგელია, გ.ბასილაძე, დ.ფხაკაძე, ბ.მახარაძე, ლ.სანიკიძე, კ.გურული, პ.ლილუაშვილი,**

სულ: კომისიის 11 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, მ.სიმონიძე, ე.არჩაია

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი კ.კუხიანიძე და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი ი.უგულავა.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წლის დასაფინანსებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ

   /ა.კოპალეიშვილი, კ.კუხიანიძე/

2. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „დღის წესრიგის მიხედვით ვთხოვოთ ბატონ კ.კუხიანიძეს წარმოგვიდგინოს ინფორმაცია 2021 წელს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელს შესასრულებელი სამუშაოების შესახებ“.

1. **მოისმინეს:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი **კ.კუხიანიძის** ინფორმაცია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობისა და მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების, ასევე გასული წლიდან გაგრძელებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს. მათგან აღსანიშნავია გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა, ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები, ექსპლოატაციები (გზის ორმოული, შეადრევანი, გამწვანება, სასულე), სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა - რეაბილიტაცია, ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია, მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა, ვიდეო - სამეთვალყურეო კამერების შეძენა-ექსპლოატაცია (სრული ანგარიში თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „რუსთაველისა და ლაღიძის ქუჩების კვეთაზე არსებულ სკვერში იქნებ განათება გაგვეუმჯობესებინა, ბევრი ხალხი იკრიბება“.

კ.კუხიანიძე: „სამწუხაროდ ხალხის ნაწილს მოწონს სრული განათება, ნაწილი ნაწილობრივ განათებას ამჯობინებს. ამიტომ ამ ეტაპზე ასე დავტოვეთ“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ასსაფეხურიანი კიბის მეორე მხარეს, აუზის ადგილად, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენდება მაღალსართულიანი კორპუსი და ხომ არ „შეჭამს“ ეს ასსაფეხურიანი კიბის იერსახეს?“

კომისიის წევრი **ს.სანიკიძე:** „მე ვფიქრობ ასე არ მოხდება. აიგება 40 სართულიანი შენობა, რომლის გარშემოწერილობა მხოლოდ 150 მეტრია, რაც ქალაქს გაალამაზებს“.

კომისიის წევრი **ი.შენგელია:** „ძალიან კარგი პროექტია. ეს იქნება ერთგვარი სავიზიტო ბარათი ქალაქისათვის“.

კომისიის წევრი **დ.ფხაკაძე:** „ზ.ჭავჭავაძის ქუჩაზე დაიწყეს ბოსტნების აღება, რომელიც მოსახლეობას ეკუთვნოდა და ნაწილი აიღეს კიდეც. ჩემთვის ცნობილია, რომ მისი ნაწილი გასხვისებულია“.

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „რაც გაუსხვისებელია, იმას შევეხეთ და გვინდა ამ ადგილას სკვერი გავაკეთოთ“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „თუ შეიძლება გვითხრათ, ბატონო კარლო, რა ხდება ოღასკურის არხის ბოლო ნაწილში“

კ.კუხიანიძე: „სამუშაოები განახლდება ახლო მომავალში. წყალმა იქ არსებული მცირე ნაგებობები დააზიანა. ამ დღეებში შემსრულებელი სამუშაოებს განაახლებს“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ოღასკურას არხის წყალი კვებავდა იქ არსებულ ფლორას და ახლა აღარ მიეწოდება ფსკერის დაბეტონების გამო, რამაც შესაძლოა გადაახმოს მცენარეები და ნარგავები“.

კომისიის წევრი **ბ.ბასილაძე:** „ვერ დაგეთანხმებით ბატონო ბესო. საკმაოდ ნესტიანი და ნალექიანია ქუთაისი იმისათვის, რომ მცენარეები არ გახმეს იმ მიდამოებში წყლის მიუწოდებლობის გამო“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ტრანსპორტის სისტემის ციფრული მოწესრიგება ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით პრობლემა ქალაქის ყველა ნაწილში მოიხსნება თუ ეტაპობრივად?“

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „პრობლემა ქალაქის მასშტაბით მოიხსნება“

კომისიის წევრი **კ.გურული:** „როდის იწყება აღმაშენებლის გამზირის შუა ნაწილის ექსპლოატაცია? იქნებ ყურადღება მიექცეს პალმების ხმელი ტოტების მოცილებას“

კ.კუხიანიძე: „გავითვალისწინებთ აუცილებლად. ამას რეაბილიტაციის დაწყებამდე გავაკეთებთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „იქნებ გავითვალისწინოთ რუსთაველის გამზირზე ფასადების მოწესრიგების საჭიროება, ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა“.

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „ფასადების რეაბილიტაცია მოთხოვნადი პრიორიტეტია და მივაქცევთ ყურადღებას. ამ წლის შედეგებით ალბათ მხოლოდ 2 ბინა დაგვრჩება შეუკეთებელი. ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ წელს ჯამში 45 მილიონ ლარამდე დავხარჯავთ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. ამ მოცულობის ქალაქს მთლიანი ბიუჯეტი ჰქონდა რამდენიმე წლის წინათ. ამდენი სამუშაოები არც ერთ წელს არ განხორციელებულა“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „აუდიტის სამსახურის 2019-2020 წლების ანგარიშში მოხსენიებულია ფირმები, რომლებიც დღესაც მუშაობენ ქალაქის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. იქნებ აუდიტის სამსახურის ეს მითითება გაგვეთვალისწინებინა“.

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „ისინი კანონმდებლობას არ არღვევენ, ე.წ. „შავ სიაში“ არ არიან. ტენდერების არსებული წესები და პროცედურები ისეა გაწერილი, რომ საქმიანობას ვერ ავუკრძალავთ“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ქალაქის საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებაზე თუ არის რაიმე სიახლე?“

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „სამწუხაროდ ტერიტორიის 80%-ზე კანალიზაცია დაერთებულია ღვარსადენებს, რაც არ შეიძლება. აგვისტოს ბოლოს დასრულდება პროექტი. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 100 მლნ. ევროა“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „მანდარიას ქუჩის მარჯვენა ტერასაზე გაიცა მიწის ნაკვეთები, სადაც ახლა საყრდენი კედლები შენდება. ეს რაიმე დამატებით საფრთხეს ხომ არ შექმნის?“

მერის მოადგილე **ი.უგულავა**: „აქ ნაკვეთები გაყიდა შპს „ხურომ“, რომელიც მას საკუთრებაში ქონდა. თუმცა, მათზე მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „რა სამუშაოებია დაგეგმილი რუსთაველისა და წითელ ხიდებს შორის?“

კ.კუხიანიძე: „მიმდინარეობს ფალიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია. ამ ქუჩის სრულად გადაკეტვა შეუძლებელია, ამიტომ ნაწილი შემოვსაზღვრეთ. სრული რეაბილიტაცია ფასადების ჩათვლით მასშტაბური პროექტია და შეცვლის ქალაქის ცენტრის იერსახეს“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად ცხაურები გვრჩება წარწერით „თბილისის მერია“. ნუტუ არ შეიძლება მასზე ქუთაისი დაეწეროს თუ მეორადია ეს ცხაურები?“

კ.კუხიანიძე: „ეს ცხაურები მეორადი ვერ იქნება, მათი ჩამოსხმა ახალი დაწყებულია. გავითვალისწინებთ ახალი ტენდერებისას და პირობაში ჩავდებთ“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მივიღოთ ცნობად და კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 12, **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ამით, საკრებულოს კომისიის მეოთხე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი**